სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/219

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში ვიზუალური კომუნიკაციის სასწავლო ლაბორატორიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის, პროფესორ ნიკოლოზ შავიშვილის 2023 წლის 20 დეკემბრის MES 0 23 0001740829 სამსახურებრივი ბარათის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის საბჭოს 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმი №10) და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ვიზუალური კომუნიკაციის სასწავლო ლაბორატორია.
2. მოწონებული იქნეს ვიზუალური კომუნიკაციის სასწავლო ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგსა და დებულებაში (დანართები).
3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**